ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1577366

ნომერი: AR1261909

თარიღი : 30.10.2014

გაცემის თარიღი : 04.11.2014

გაცნობის თარიღი : 08.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , ნაკვ. 08/014 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაციაშვილი პ/ნ 01024036441
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 36/40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან სკამები და მაგიდა არ წარმოადგენს სანებართვო პირობას (არ გაქვთ მოთხოვნილი), ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან, შესაბამისად წარმოსადგენია მხოლოდ საჩრდილობლის ფოტომონტაჟი ყველა გაბარიტული ზომის მითითებით. გარდა ამისა, მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო საჩრდილობლის დატანით და ყველა ზომის მითითებით, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში თქვენს მიერ ატვირთულ ამონაწერთან ერთად ერთ pdf ფაილად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.